საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-255

17/03/2020

ქ. თბილისი

„შპს „კარგი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 13 ივლისის №927 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2020 წლის 9 მარტს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „კარგის“ დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2007 წლის 3 ივლისის №18 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2007 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „კარგის“ მინერალური ნედლეულის გადამუშავების-გაჯის საამქროზე გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№18; 03.07.2007) და N00079 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2019 წლიდან საწარმო აღარ ახორციელებს საქმიანობას. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელმა ითხოვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „კარგის“ დირექტორის განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „კარგი“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 13 ივლისის №927 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კარგის“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კარგის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი